ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-118

2010 წლის 25 ნოემბერი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეზე ქობულეთის წყალარინების პროექტის განხორციელების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტისა და 33-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს (ნ. ბერაძე) მიენიჭოს უფლებამოსილება თვითმმართველი ერთეულის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, ქობულეთის მუნიციპალიტეტს და შ.პ.ს. „ქობულეთის წყალ“-ს შორის ქობულეთის წყალარინების პროექტის განხორციელების ხელშეკრულებას.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე